



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### გულისაშვილი ბორის არჩილის ძე



ბ. გულისაშვილი

გულისაშვილი ბორის არჩილის ძე, (13. V. 1912, პეტერბურგი, - 13. V. 1977, თბილისი), მუსიკისმცოდნე, პედაგოგი. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1971). საქართვე. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1954). 1938-60 მუშაობდა თბილ. სახელმწ. კონსერვატორიაში თავდაპირველად მუსიკის თეორიის კათედრაზე, ხოლო შემდეგ, 1956-58 - თეორ. საკომპოზიციო ფაკ-ტის დეკანად. 1960-63 - ტაშკენტის, 1963-65 - ალმა-ათის, 1966-77 თბილ. კონსერვატორიის პედაგოგი იყო, კითხულობდა ჰარმონიისა და მუსიკის თეორ. სისტემების კურსს. გ. მოღვაწეობდა ძირითადად ქართ. ხალხ. მუსიკისა და მუს. აკუსტიკის სფეროში. ძირითადი ნაშრომები: „კილოები ქართული ხალხური სიმღერების თანხლებასა და საკრავიერ მუსიკაში" (1967), „ობერტონების რიგი და ტემბრული განვითარება" (1971), „ნეიტრალური ინტერვალები ქართულ ხალხურ სიმღერაში" (1972). გ-ს ეკუთვნის გამოკვლევები შუა აზიის ხალხთა მუსიკის საკითხებზეც: „სუფთა წყობა და ხალხური მუსიკალური შემოქმედება" (1956), „იბნ-სინა და სუფთა წყობის შექმნა" (1964).

**გ. ტორაძე**

---